ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N19

2022 წლის 25 მაისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მესამე პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 05 მაისის N114-11422125227 წერილის შესაბამისად:

1. 2022 წლის ტურისტული პერიოდისათვის (არაუგვიანეს 2022 წლის 1 ოქტომბრამდე) ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთაც საკუთრებაში/სარგებლობაში აქვთ სავაჭრო ობიექტები, ნება დაერთოთ (უსასყიდლო სარგებლობის უფლებით) აღნიშნული ობიექტის მიჯნაზე განათავსონ მცირე ზომის ობიექტები (სანაყინე, მაცივრები და სხვა მცირე ობიექტები). ამასთან, აღნიშნული ობიექტები არ უნდა ზღუდავდნენ საერთო სარგებლობის გასასვლელს (ტროტუარს) 1,8 მეტრზე ნაკლები მანძილით და ობიექტის მიჯნიდან თავსდებოდეს არაუმეტეს 1 მეტრის დაშორებით.

2. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ.ზოიძე) კონტროლი გაუწიოს განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების მკაცრად შესრულებას.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის N37 განკარგულება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი